საქართველოს სამარიტელთა კავშირი

# პირველადი დახმარება

## ისწავლე და დაეხმარე



სსკ
SSK
საქართველოს სამარიტელთა კავშირი

SAMARITAN INTERNATIONAL
European
First Aid Certificate

2013

# უბედური შემთხვევის დროს

შეხედე!

დამშვიდდი!

შეაფასე სიტუაცია!

გამოიძახე სასწრაფო

დახმარება 112!



გაიაზრე, რით შეგიძლია
დაეხმარო!

დაეხმარე!

თბილისი, 2013 წ.

# მოქმედებათა ჯაჭვი (ალგორითმი) უბედური შემთხვევის დროს




1. გადაუდებელი ქმედებები
2. დახმარების გამოძახება
3. დახმარების გაწევა
4. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება
5. სტაციონარი

**სასწრაფო დახმარება - 112**

# გადაუდებელი ქმედებები:





☞ გამორთეთ დენი და გაზი;

☞ ჩააქრეთ ცეცხლი;

☞ დააყენეთ გამაფრთხილებელი ნიშანი

# სიცოცხლის გადარჩენა:

☞ ხელოვნური სუნთქვა

☞ გულის მასაჟი

☞ სისხლდენის შეჩერება



# რით არის საშიში უგონო მდგომარეობა?



ზურგზე მწოლიარე ადამიანს ეკეტება სასუნთქი გზები.



სასუნთქი გზების გასახსნელად აუცილებელია დაზარალებულს უკან გადავუწიოთ თავი და გამოვუწიოთ ქვედა ყბა.

# შეამოწმეთ სუნთქვა 10 წამის განმავლობაში!



დააკვირდით გულმკერდის მოძრაობას, მოუსმინეთ და შეიგრძენით სუნთქვა.



თუ სუნთქვა არის, გადაიყვანეთ დაზარალებული სტაბილურ-გვერდულ მდგომარეობაში.

## გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება!

# თუ სუნთქვა არ არის - სასწრაფოდ დაიწყეთ სიცოცხლის გადარჩენა!





**30 : 2**

- ☞ გადაიყვანეთ მყარ ზედაპირზე;
- ☞ დააწვინეთ ზურგზე;
- ☞ გაათავისუფლეთ მკერდი ტანსაცმლისგან;
- ☞ სწორად შეარჩიეთ მასაჟის ადგილი - მკერდის ცენტრი;
- ☞ მასაჟის რიტმი წუთში 100-110;
- ☞ დაწოლის სიღრმე 5-6 სმ;
- ☞ 30 დაწოლის შემდეგ ჩაბერეთ 2-ჯერ საშუალო სიმძლავრით;
- ☞ ჩაბერვისას ცხვირზე მოუჭირეთ თითები;
- ☞ თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ პოლიეთილენის ნიღაბი.

**გულის მასაჟს და ხელოვნურ სუნთქვას ვაგრძელებთ სანამ სასწრაფო დახმარება მოვა ან დაზარალებული დაიწყებს დამოუკიდებლად სუნთქვას!**

თუ ხელოვნური სუნთქვის ჩატარება არ გსიამოვნებთ,

ჩაატარეთ მხოლოდ გულის მასაჟი!

# ძლიერი სისხლდენა




☞ ხელისგულის ფუძით განახორციელეთ პირდაპირი ზეწოლა ჭრილობაზე;

☞ მოუჭირეთ ჭრილობას;



☞ დააწვინეთ დაზარალებული;

☞ ასწიეთ ზემოთ კიდური;

☞ დაადეთ დამწოლი ნახვევი;

☞ დარწმუნდით, რომ სისხლდენა შეწყდა;

☞ თუ სახვევი სისხლით გაიჟღინთა, არ მოხსნათ, მხოლოდ ზემოდან შემოახვიეთ ახალი ფენა.

**გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება!**

# ცხვირიდან სისხლდენა



☞ დასვით და დააწყნარეთ;
☞ თავი წინ დაუხარეთ
☞ არ მისცეთ საშუალება, სისხლი ყლაპოს;
☞ მოუჭირეთ სისხლმდენ ნესტოს;
☞ ეცადეთ არ ილაპარაკოს და არ დაახველოს;
☞ დაადეთ ცივი კომპრესი კეფაზე და ცხვირზე;
☞ 10 - 12 წუთის შემდეგ შეამოწმეთ, შეწყდა თუ არა სისხლდენა.

**თუ სისხლდენა გრძელდება -**
**გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება!**

# დამწვრობა



☞ ნებისმიერი სახის თერმული დამწვრობისას სასწრაფოდ გააგრილეთ დამწვრობის ადგილი გამდინარე ცივი წყლის ნაკადით 10 წუთის განმავლობაში.

## ცივი წყალი ხელს უშლის ბუშტუკების წარმოქმნას და ამებს ტკივილს!

დაზიანებული ადგილი არ დაამუშაოთ:

სპირტით!

არ მოყინოთ!

არ შეეხოთ ბუშტუკებს!

არ გამოიყენოთ ბამბა!

**თუ აუცილებელია, გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება!**

# უცხო სხეული სასუნთქ გზებში




მიეცი საშუალება თვითონ ამოახველოს!

თუ ვერ ამოახველა:

☞ წინ გადახარეთ დაზარალებული;

☞ ბეჭებსშუა ენერგიულად და წინმიმართულად 5-ჯერ დაარტყით ხელისგული.

თუ შედეგი ვერ მიიღეთ - გამოიყენეთ ჰაიმლიჰის მეთოდი:

☞ შემოხვიეთ ხელები უკნიდან;

☞ მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკარით და მკერდისა და მუცლის ღრუს შესაყარზე ამოსდეთ;

☞ მარცხენა ხელისგულით მუშტს შემოხვიეთ და განახორციელეთ 5 ენერგიული ბიძგი ზედა მიმართულებით.

თუ შედეგი კვლავ არ არის - დაიწყეთ გულის მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა!

# პირველადი დახმარების აფთიაქი



სასუნთქი ნიღაბი
რეზინის ხელთათმანები
მაკრატელი
ფოლგის საბურველი
გადასახვევი მასალა
დოლბანდი
დოლბანდის კომპრესები
სამკუთხა ნაჭრები
ჭრილობის პლასტირი
ქინძისთავები
ლეიკოპლასტირი
ბადე-დოლბანდი




ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ

სსკ SSK

საქართველოს სამარიტელთა კავშირი

European Commitee
for First Aid Education

SAMARITAN INTERNATIONAL European First Aid Certificate

Certificate Nr.

FIRST AID COURSES
პირველადი დახმარების კურსი

ID

გაიარა პირველადი დახმარების საბაზისო კურსი (15 საათი) და წარმატებით ჩააბარა Samaritan International (SAM.i) თეორიული და პრაქტიკული პროგრამით გათვალისწინებული გამოცდები.

კურსი შეესაბამება SAINT ორგანიზაციების ევროპულ სტანდარტებს. კურსი ჩატარებულია შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორების მიერ და სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების შინაარსსა და კონცეფციას.

has participated in First Aid training courses (15 hrs) and succesfully passed the theoretical and practical tests in accordance with Samaritan International (SAM.i) First Aid training program.

This course corresponds to the European standart of the SAINT organisation. The training was conducted by comparable qualified instructors and is in accordance with the national standard in terms of concept and content.

სსკ-ს პრეზიდენტი
მიხეილ მინდაძე

SSK President
Mikheil Mindadze

ინსტრუქტორი

Instructor

საერთაშორისო სერტიფიკატი, რომელიც გადმოგეცემათ სსკ-ს პირველადი დახმარების კურსის გავლის და საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.




გაწევრიანდი საქართველოს სამარიტელთა კავშირში
ისწავლე და დაეხმარე!

თბილისი, გ.წერეთლის 3, ოთახი 501-502
ტელ. 995 32 238250
www.sskgeo.org